საქართველოს მთავრობის განკარგულება

№970 2018 წლის 3 მაისი ქ. თბილისი

„აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელების თაობაზე

„ქვეყანაში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 იანვრის №224 განკარგულებით დამტკიცებული „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით:

1. დაევალოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო), უზრუნველყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისათვის (შემდგომში – ფონდი) „სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა“ (პროგრამული კოდი: 31 02) – პროგრამით გათვალისწინებული თანხიდან 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის გადარიცხვა.

2. ფონდმა უზრუნველყოს:

ა) საგრანტო კონკურსის პირობებისა და საკონკურსო პროექტების შეფასების წესის დადგენა სააგენტოსა და სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან შეთანხმებით;

ბ) საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება და დაფინანსებული პროექტების შესრულების მონიტორინგი;

გ) ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული თანხიდან, „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამით" გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით, გრანტების გაცემა და კონკურსის ფარგლებში შესული პროექტების საექსპერტო შეფასება;

დ) სააგენტოსთვის საგრანტო კონკურსსა და კონკურსის შედეგად დაფინანსებული პროექტების მონიტორინგთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენა.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი